ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო
მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №38

ქ. ბათუმი „18“ „ივნისი“ 2018 წ.

სხდომას ხელმძღვანელობდა:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე.
სხდომას ესწრებოდნენ საკონკურსო კომისიის წევრები:	ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - რამაზ მამულაძე; პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების იურისტი - ნინო განჯელაშვილი; UNDP-GEF პროექტის „მწვანე ქალაქები: მდგრადი ინტეგრირებული ტრანსპორტი ქ.ბათუმისა და აჭარის რეგიონისათვის“ ხელმძღვანელი - ლაშა ნაკაშიძე; ა(ა)იპ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ პროექტების მენეჯერი - ტიტე არაშიძე; ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების უფროსი ვახტანგ გედენიძე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კახა დიასამიძე.

დღის წესრიგი:

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო კონკურსის **მეორე ეტაპის - ტესტირება/წერითი დავალება** შედეგების დამტკიცება.
2. კონკურსის **მესამე ეტაპის - გასაუბრებისას კანდიდატთა** შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრა, გასაუბრების ჩატარების თარიღისა და ადგილის დადგენა.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ კონტრაქტით გათვალისწინებული, მ/წლის 29-30 მაისს ჩატარებული, კონკურსის მეორე ეტაპის - **ტესტირება/წერითი დავალება** შედეგები, რითაც დგინდება, რომ 28 ვაკანტურ პოზიციაზე მონაწილე 160 კანდიდატიდან **მესამე ეტაპზე - გასაუბრება** გადავიდა 20 კანდიდატი (26 განაცხადი), ხოლო 12 პოზიციაზე კონკურსი ჩაიშალა კონკურსანტების მიერ მინიმალური ბარიერის (21 ქულა) ვერ გადალახვის გამო, რაც დადგენილი იყო საკონკურსო კომისიის **№35** ოქმით.

აღნიშნულზე წარმოდგენილია სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის შესაბამისი წერილი და დანართი.

გამოითქვა მოსაზრება, რომ კონკურსის **მესამე ეტაპზე - გასაუბრება** კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს საკონკურსო პოზიციების შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, კომისიის **№35** ოქმით გათვალისწინებული პირობებით და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ წარმოდგენილი **კონკურსანტის შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით.**

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ, მიზანშეწონილია კონკურსის **მესამე ეტაპი - გასაუბრება** ჩატარდეს მ/წლის არაუგვიანეს 30 ივნისისა.

კომისიის სხვა წევრებმა ზემოთხსენებულ საკითხებზე ერთხმად განაცხადეს თანხმობა.

კ ო მ ი ს ი ა მ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ წარმოდგენილი კონკურსის მეორე ეტაპის - **ტესტირება/წერითი დავალება** შედეგები, თანახმად დანართი N1 და დანართი N2-სა.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული საჯარო კონკურსის მეორე ეტაპის - **ტესტირება/წერითი დავალება** შედეგების გათვალისწინებით ცალკეულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსი გამოცხადდეს ჩაშლილად, თანახმად დანართი N3-სა.

3. კონკურსის **მესამე ეტაპი - გასაუბრება** ჩატარდეს ზეპირი გასაუბრების საფუძველზე მ/წლის არაუგვიანეს 30 ივნისისა. კონკურსის მესამე ეტაპზე - გასაუბრებაზე დაშვებული იქნან ის კონკურსანტები, რომლებმაც წარმატებით გადალახეს კონკურსის მეორე ეტაპი - **ტესტირება/წერითი დავალება**.

4. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს საკონკურსო პოზიციების შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში, კომისიის **№35** ოქმით გათვალისწინებული პირობებით და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ წარმოდგენილი **კონკურსანტის შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით** (დანართი N4).

5. **მესამე ეტაპზე - გასაუბრება** კონკურსანტებისათვის დასმული კითხვების რაოდენობა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით: 4 შეკითხვა - სამართლებრივი აქტებიდან; 3 შეკითხვა უნარებიდან; 3 დამატებითი შეკითხვა (საჭიროებისამებრ). იმ პოზიციებზე, რომლებისთვისაც საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებულია ინგლისური ენის B1 და B2 დონეზე ცოდნა, კონკურსანტები გამოიცდება გასაუბრების მიმდინარეობისას შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტის მიერ.

6. **მესამე ეტაპი - გასაუბრება** ჩატარდეს შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის ქ. №25, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა, საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

7. იმ კანდიდატებს, რომლებმაც კონკურსის მეორე ეტაპი - **ტესტირება/წერითი დავალება** ვერ გადალახეს კონკრეტულ ვაკანსიებზე (თანამდებობაზე) და კონკურსის მე-3 ეტაპზე დაშვებული არ იქნენ, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მათ მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით. აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ კონკურსის შედეგები გაასაჩივრონ სასამართლოში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. კანდიდატებს, რომლებმაც კონკურსის მეორე ეტაპი წარმატებულად გადალახეს და დაშვებული იქნენ კონკურსის მესამე ეტაპზე, კონკურსის მესამე ეტაპის - გასაუბრების გამართვის ადგილისა და დროის შესახებ (გრაფიკის შესაბამისად) ეცნობოთ მათ მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და დამატებით მობილურ ტელეფონზე sms შეტყობინების გაგზავნით, არანაკლებ 2 დღით ადრე გასაუბრების გამართვის დღისა.

9. კონკურსის მესამე ეტაპის - გასაუბრების გამართვის გრაფიკი და კომისიის სხდომის ოქმი, კანდიდატთა ინფორმირების მიზნით განთავსდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.batumi.ge.

კომისიის თავმჯდომარე: ნუკრი დეკანაძე

კომისიის წევრები:

რამაზ მამულაძე

ნინო განჯელაშვილი

ლაშა ნაკაშიძე

ტიტე არუშიძე

ვახტანგ გედენიძე

კახა დიასამიძე